ანგარიში
19 სექტემბერი – 11 ოქტომბერი 2013

14 ოქტომბერი 2013

I. მოკლე მიმოხილვა

- საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს ჩატარდება. 2010 და 2013 წლებში კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად პრეზიდენტის უფლებამოსილება მნიშვნელოვნად შემცირდება პრემიერ მინისტრისა და პარლამენტის სასარგებლოდ. ცვლილებები ძალაში ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე შევა.

- საარჩევნო სამართლებლივი ჩარჩო ყოვლისმომცველია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მყარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციით, საარჩევნო კოდექსსა და კანონში 'მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ' ცვლილებები საერთო კონსენსუსის საფუძველზე, უკანასკნელად, 2013 წლის ივლისში შევიდა. ცვლილებების შეტანას წინ საჯარო განხილვები უძღოდა.

- კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი გამჭვირვალედ და ყოვლისმომცველად წარიმართა. განაცხადი ორმოცდათოთხმეტმა პირმა შეიტანა, მათგან 31-ი არ დარეგისტრირებულა (უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ან თავად მოხსნა კანდიდატურა). გაიტანა განაცხადი. საერთო ჯამში, დარეგისტრირდა 23 კანდიდატი, საიდანაც 10 პოლიტიკური პარტიის, ხოლო 13 საინიციატივო ჯგუფების მიერ იყო წარდგენილი. რეგისტრაციაზე უარის 9 შემთხვევა გასაჩივრდა, მათგან 4 იყო ორმაგი მოქალაქეობის მქონე განმცხადებელი. ცენტრალური საარჩევნო კომისიისა (ცესკო) და სასამართლოების მიერ არც ერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

- არჩევნები იმართება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ: ცესკო, 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,655 საუბნო საარჩევნო კომისია. ცესკო ეფექტურად და გამჭვირვალედ მუშაობს. მან საარჩევნო სამუშო დადგენილ ვადაში შეასრულა. ყველა დაინტერესებულმა მხარემ ნდობა გამოხატა არჩევნების ადმინისტრირების პროცესისადმი. სხვადასხვა საარჩევნო საკითხებზე ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანიას ცესკო საჯარო და კერძო მედიის მეშვეობთ ახორციელებს.

- წინასწარი საარჩევნო სიები საზოგადოებრივი კონტროლის უზრუნველსაყოფად გამოქვეყნდა, თუმცა, რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩეველთა გარკვეულმა ნაწილმა არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად სახელმწიფო მომსახურების განვითარების სააგენტოში ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაიროს.

- ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისსაარჩევნო სადამკირვებლო მისიის ყველა ადამიანი და ორგანიზაცია, რომელთანაც საარჩევნო სადამკირვებლო მისიამ შეხვედრები გამართა მიიჩნევს, რომ საარჩევნო კამპანიის გარემო განიხილები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჭრილში და ხარისხობრივად უფრო წყნარ ატმოსფეროში მიმდინარეობს. მთავრობამ განაცხადა საკუთარი განზრახვის შესახებ, მოახმაროს სახელმწიფო რესურსი თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო კამპანიის უზრუნველყოფას. მიუხედავად ამისა, კამპანია მმართველ კოალიციას „ქართული ოცნება“ და საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, და პარტიულ ლიდერებს შორის დაძაბული კოჰაბიტაციის ფონზე მიმდინარეობს.

- მიუხედავად იმისა, რომ აქამდე კამპანია ნაკლებად აქტიურად მიმდინარეობდა, ამომრჩევლებთან შეხვედრების რიცხვი სექტემბრის ბოლოდან გაიზარდა. ყველა კანდიდატი და პარტიაძირითად ყურადღებას კარდაკარ კამპანიას უთმობს.

- 2012 წლის არჩევნებთან შედარებით მედიასივრცე ნაკლებად პოლარიზებულადაა მიჩნეული, ხოლო ჟურნალისტები ძირითად პოლიტიკურ მოვლენებს უფრო ნეიტრალურად და მიუკერძოებლად აშუქებენ. თუმცა, კრიტიკული ანალიზისა და ანალიტიკური რეპორტაჟების ნაკლებობა კვლავაც აღინიშნება.

- ცესკოსა და სასამართლოებში მხოლოდ რამდენიმე საჩივარი შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ უწყებათშორის კომისიას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის (IAC) არ გააჩნია სანქციების დაკისრების უფლებამოსილება, საჩივართა უმრავლესობა ამ კომისიაში იყრის თავს. შეტანილი საჩივრების საპასუხოდ, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის სახელზე კომისია შესასრულებლად არასავალდებულო რეკომენდაციებს გამოსცემს .

- წინა არჩევნების დროს აღმოჩენილი პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად, პარტიისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელ სამართლებლივ აქტებში ცვლილებები 2013 წლის აგვისტოში იქნა შეტანილი. თუმცა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მოსაუბრე მხარის ნაწილი შეშფოთებულია მოცემულ საარჩევნო პერიოდში აუდიტის სახელმწიფო სამსახურის კონტროლის დაბალი დონით.

II. შესავალი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის საფუძველზე და საკუთარი მანდატის შესაბამისად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE/ODIHR) 19 სექტემბერს საარჩევნო სადამკვირვებლო მისია (EOM) გახსნა. სადამკვირვებლო მისიას მატეო მეკაჩი ხელმძღვანელობს. მისია შედგება თბილისში მყოფი 16 საერთაშორისო ექსპერტისა და ქვეყნის სხვადასხვა ადგილას

გადანაწილებული 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისაგან. მისიის წევრები ეუთოს 24 წევრი ქვეყნიდან არიან. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა ეუთოს წევრ სახელმწიფოებს ასევე მოსთხოვა 300 მოკლევადიანი დამკვირვებლის გამოყოფა კენჭისყრის, ხმათა დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესებზე დასაკვირვებლად.

III. წინაისტორია

4 ივლისს, საკანონმდებლო და საკონსტიტუციო მოთხოვნების შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თარიღად საქართველოს პრეზიდენტმა 27 ოქტომბერი გამოაცხადა. 2010 და 2013 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები მნიშვნელოვნად შეზღუდავს პრეზიდენტის უფლებამოსილებას პრემიერ–მინისტრისა და პარლამენტის სასარგებლოდ და ძალაში შევა ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე. კონსტიტუციაში შეტანილი ცვილებების თანახმად, არსებული მთავრობა დათხოვნილ იქნება და ახალი პრეზიდენტი წამოაყენებს პრემიერ–მინისტრობის კანდიდატურას იმ საარჩევნო სუბიექტის წარდგენის საფუძველზე, რომელმაც საუკეთესო შედეგი აჩვენა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში.[1] ამჟამინდელმა პრემიერ–მინისტრმა არჩევნების შემდგომ თანამდებობიდან გადადგომის განზრახვის შესახებ განცხადება უკვე გააკეთა.

IV. სამართლებლივი ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

საარჩევნო სამართლებლივი ჩარჩო ყოვლისმომცველია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მყარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების საკითხები კონსტიტუციის, საარჩევნო კოდექსისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონით რეგულირდება.[2] საარჩევნო კანონმდებლობა ეუთოს დამოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი რეკომენდაციების საფუძველზე 2013 წელს შეიცვალა.პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის ჩამოყალიბებისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან საჯარო კონსულტაციების ჩატარების შემდგომ, კანონმდებლობაში კიდევ რამდენიმე ტექნიკური ცვლილება შევიდა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა (NGOs) ეუთოს დამორკატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩვნო სადამკვირბელო მისიას აცნობეს, რომ შეტანილ ცვლილებებში მათი რეკომენდაციების უმრავლესობა გათვალისწინებულა.[3]

---

[1] ტერმინი 'საარჩევნო სუბიექტი' განსაზღვრულია საარჩევნო კოდექსში და მოიცავს პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს, კანდიდატებსა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს.

[2] არჩევნებთან დაკავშირებული სხვა კანონები არის: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ და საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.

[3] თავისუფალი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო.

ცვლილებები პარლამენტის მიერ კონსენსუსის საფუძველზე ივლისში შევიდა და ამა წლის აგვისტოში ამოქმედდა. ცვლილებები ასევე მოიცავს დამატებით განმარტებებსა და დაცვის მექანიზმებს ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად; განსაზღვრავს კამპანიის ჩასატარებლად უფრო თანასწორ პირობებს, მათ შორის, პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ შეუსაბამო თანამდებობის დატოვების მოთხოვნას; საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბების დამატებით წესებს; და კამპანიის დაფინანსების წესში ცვლილებებს.

პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, ხუთწლიანი ვადით. არჩევნების პირველივე ტურში გასამარჯვებლად, კანდიდატმა ნამდვილად მიჩნეული ხმების 50 პროცენტზე მეტი უნდა დააგროვოს. სხვა შემთხვევაში, მეორე ტურში მონაწილეობს ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი, და მათგან არჩეულად ჩაითვლება ის, ვინც ხმების უმრავლესობას მიიღებს.

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნები იმართება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ:ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო); 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,655 საუბნო საარჩევნო კომისია. დამატებითი 52 საარჩევნო უბანი გაიხსნა საზღვარგარეთ დიპლომატიურ და საკონსულო მისიებში, ქვეყნის გარეთ მყოფი მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.[4] 12 ოქტომბრისათვის, სპეციალური საარჩევნო უბნები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სამედიცინო დაწესებულებებში და სამხედრო ბაზებზე გაიხსნება.

ყველა საარჩევნო კომისია 13 წევრისაგან შედგება. ცესკო–ს დონეზე, 5 წევრი ინიშნება პარლამენტის მერ პრეზიდენტის წარდგინებით, შვიდი კი იმ პოლიტიკული პარტიების მიერ, რომლებიც ყველაზე დიდი ოდენობით იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას.[5] ცესკო–ს ამჟამინდელი თავჯდომარე საჯარო წარდგინების პროცესის შედეგად,[6] ცესკო–მ 2013 წლის 11 სექტემბერს აირჩია. საოლქო და საუბნო კომისიების შემთხვევაში, ექვსი წევრი ინიშნება უფრო ზემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ საჯარო კონკურსის საფუძველზე, ხოლო დანარჩენი შვიდი წევრი პოლიტიკური პარტიების მიერ სახელდება. ცესკო–ს ოთხი წევრი ქალია, მათ შორის თავჯდომარეც. უფრო დაბალ საფეხურებზე, ქალები საოლქო კომისიების წევრთა 55%, ხოლო საუბნო კომისიების წევრთა 65% შეადგენენ.

---

[4] რუსეთის ფედერაციაში საარჩევნო უბნები არ გახსნილა, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის გამო.

[5] სახელმწიფო დაფინანსების ყველაზე მაღალი განაკვეთის მიმღები პარტიები მოიცავს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს, კონსერვატიულ პარტიას, რესპუბლიკურ პარტიას, ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატებს და პოლიტიკურ მოძრაობებს მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და ეროვნულ ფორუმს.

[6] ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე გადადგა აგვისტოში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

ცესკო ეფექტურად და გამჭვირვალედ მუშაობს. მან საარჩევნო სამუშაო დადგენილ ვადაში შეასრულა. ყველა დაინტერესებულმა მხარემ არჩევნების ადმინისტრირებისადმი ნდობა გამოხატა. საოლქო და საუბნო კომისიები სრული დატვირთვით მუშაობენ, პირველი სხდომა ყველა საუბნო კომისიაში 23 სექტემბრისათვის ჩატარდა. 37 საუბნო კომისიის პირველი შეკრების შედეგები გაუქმდა იმ მოთხოვნით, რომ დარღვეულ იქნა წესი, რომლის მიხედვით თავჯდომარე, თავჯდომარის მოადგილე და მდივანი არ უნდა წაროადგენდნენ ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტს.[7]

ცესკოს სასწავლო ცენტრმა წარმატებით ჩაატარა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის ტრენინგის პირველი ორი ეტაპი. ტერნინგის მესამე ეტაპი არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრეა დაგეგმილი. ამასთანავე, ჩატარდა ტრენინგი სხადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის, ადგილობრივი ადმინისტრაციის პერსონალის, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრების, სახალხო დამცველის, მედიის წარმომადგენელთა, ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის. სხვადასხვა საარჩევნო საკითხებზე ცესკოს ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანია საჯარო და კერძო მედიის მეშვეობით ტარდება. ცესკო რეგულარულად ატარებს ღია სხდომებს დამკვირვებელთათვის და დროულად აქვეყნებს სხდომების ოქმებს საკუთარ ვებ–გვერდზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ცესკო, ასევე, რეგულარულად ათავსებს ბრძანებებს, განკარგულებებს და საჩივრებს საკუთარი ვებ–გვერდზე.

VI. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება მინიჭებული აქვს ყველა მოქალაქეს, რომელიც არის 18 წლის ან მეტის. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეებსა და იმ მსჯავრდებულებს, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით, არ აქვთ ხმის მიცემის უფლება. იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სხვა, შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების[8] მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, ცესკოს ევალება საარჩევნო სიების შედგენა. 10 სექტემბერს ცესკო–მ გამოაქვეყნა 3,536,619 ამომრჩევლისაგან შემდგარი წინასწარი საარჩევნო სია. საზოგადოებრივი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო სიები საუბნო საარჩევნო კომისიებში გამოქვეყნდა. სიებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელი იყო 23 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, საარჩევნო სიებიდან სხვადასხვა მიზეზით (ძირითადად, არასრული მონაცემებისა თუ სახელმწიფო

[7] ამ საუბნო კომისიებში პირველი შეკრება ხელახლა ჩატარდა და მოხდა ძირითად თანამდებობებზე წევრების ხელახალი დანიშნვა კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

[8] თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და უზენაესი სასამართლო.

სერვისების განვითარების სააგენტოში არასწორი რეგისტრაციის გამო) რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების საერთო რაოდენობა 98,121–ს შეადგენს.[9] ცესკომ შეატყობინა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას, რომ ქვეყნის გარეთ მყოფი რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების გამოკლებით, ასეთი ამომრჩევლების საერთო რაოდენობა 74,896–ს შეადგენს. ცესკომ გამოაქვეყნა რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების სია უბნების მიხედვით, რათა ასეთ ამომრჩევლებს მეტი შესაძლებლობა მიეცეთ, კანონით დადგენილ ვადებში გაიარონ ხელახალი რეგისტრაცია. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ განაცხადა, რომ 10 ოქტომბრამდე დაახლოებით 9,142 ასეთი ამომრჩეველი დარეგისტრირდა.[10]

VII. კანდიდატების რეგისტრაცია

საქართველოს კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენის უფლებას ანიჭებს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 35 წელი, აქვს ხმის მიცემის უფლება და საერთო ჯამში მინიმუმ ხუთი წელიწადი აქვს გატარებული საქართველოში, რომელთაგან უკანასკნელი სამი – უწყვეტად.

საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ პოლიტიკურ პარტიებსა და მინიმუმ ხუთი ამომრჩევლისაგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფებს. პარტიებსა და საინიციატივო ჯგუფებს ცესკოში შეაქვთ შესაბამისი განაცხადი, რის შემდეგაც მოეთხოვებათ რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო რაოდენობის მინიმუმ 0.75 პროცენტის ხელმოწერების შეგროვება (რაც 26,530 ამომრჩეველს უტოლდება). ცესკომ მიიღო 54 განაცხადი: მათგან 42 საინიციატივო ჯგუფების, ხოლო 12 – პოლიტიკური პარტიების მიერ იყო შეტანილი. 23 სექტემბერს ცესკომ განაცხადა, რომ დაარეგისტრირა 23 კანდიდატი: პოლიტიკური პარტიების მიერ წამოყენებული 10 კანდიდატი და საინიციატივო ჯგუფების წარდგენილი 13 კანდიდატი. სამი კანდიდატი ქალია. 24 მსურველს, სხვადასხვა მიზეზით, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, შვიდმა კი თავად მოხსნა კანდიდატურა.[11] 9 მსურველმა საჩივარი შეიტანა ცესკოს წინააღმდეგ, მათგან ოთხი სარჩელი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს ეხებოდა. არცერთი საჩივარი არ დაკმაყოფილებულა (იხილეთ განცხადებებისა და საჩივრებისადმი მიძღვნილი თავი).

---

9 ცესკოში 2013 წლის სექტემბერში გადაცემული მონაცემები.

10 რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებს 2010 და 2012 წლების არჩევნებში შეეძლოთ ხმის მიცემა განსაკუთრებული სამართლებრივი დებულებების საფუძველზე, რომლებიც მიმდინარე არჩევნების შემთხვევაში არ გამოიყენება.

11 ამ 24-დან 5-ს ორმაგი მოქალაქეობის გამო ეთქვა უარი რეგისტრაციაზე; 12-ს უარი ეთქვა იმის გამო, რომ დადგენილ ვადებში არ წარმოადგინეს მხარდამჭერთა სია; ერთს უარი ეთქვა იმის გამო, რომ წარმოადგინა მხარდამჭერთა დადგენილზე ნაკლები რაოდენობის ხელმოწერები; სამს უარი ეთქვა არასრული დოკუმენტაციის წარდგენის გამო; ორს - მხარდამჭერთა სიებში არსებული უზუსტობების გამოუსწორებლობის გამო და ერთს - საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გამო.

VIII. საარჩევნო კამპანიის გარემო

საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო 4 ივლისს. კამპანიის ჩატარება არჩევნების დღესაც არის დაშვებული, გარდა მასმედიის საშუალებებისა. კანდიდატებიდან მხოლოდ რამდენიმემ გახსნა საარჩევნო შტაბები საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად გახსნისთანავე და დაიწყო ამომრჩეველთან შეხვედრების ორგანიზება ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. სხვა კანდიდატებმა მოგვიანებით დაიწყეს კამპანია. კანდიდატებმა მხოლოდ ბოლო დროს დაიწყეს საკუთარი საარჩევნო პროგრამების გამოქვეყნება. კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრებზე ძირითადად აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ იზრუნებს შესაბამისი პარტია მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლებაზე. საარჩევნო პროგრამებში დომინირებს ეკონომიკური და სოციალური თემები, მათ შორის ხელფასების ზრდა, უმუშევრობის შემცირება და ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესება. „ქართული ოცნების“ შეკრებებზე აგრეთვე აქცენტი კეთდებოდა პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე საქართველოს თანადაფინანსების ფონდში ერთი მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების კერძო შემოწირულობის შესახებ. კანდიდატების უმრავლესობა აპელირებს აგრეთვე წინა მთავრობის ცხრაწლიანი მმართველობის შემდეგ „სამართლიანობის აღდგენაზე“. საარჩევნო კამპანიის თემებში შედის აგრეთვე რუსეთის ფედერაციასთან სამომავლო ურთიერთობები და ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

კანდიდატები, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე მეტად ჩანან, არიან გიორგი მარგველაშვილი („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“), დავით ბაქრაძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და ნინო ბურჯანაძე („დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“).[12]

იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების მოსაზრებათა თანახმად, რომლებთანაც ურთიერთობა აქვს ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას, ამჟამინდელი საარჩევნო კამპანია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჭრილში განიხილება და ის აშკარად უფრო მშვიდია. მთავრობამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს სანიმუშო არჩევნების ჩატარება: ამის შესახებ თქვა პრემიერ მინისტრმა, როცა განაცხადა, რომ „მთავრობა და მთლიანი ადმინისტრაციული სისტემა – საბიუჯეტო სახსრები, პოლიცია და ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო, მიმართული იქნება თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფისა და არა რომელიმე ერთი კანდიდატის გამარჯვების ხელშეწყობიკენ.[13]

---

12 გიორგი მარგველაშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი იყო, მაგრამ ვინაიდან კოალიციებს არ აქვთ საპრეზიდენტო კანდიდატის წამოყენების უფლება, ის ოფიციალურად წარადგინა პრეზიდენტობის კანდიდატად პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-მ.

13 იხილეთ პრემიერ მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიმართვა ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე შემდეგ ბმულზე: http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=270&info_id=37574

თუმცა, საარჩევნო კამპანიის დასაწყისიდანვე აშკარაა მმართველ კოალიციასა („ქართული ოცნება“) და საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და მათ ლიდერებს შორის დაძაბული კოჰაბიტაციის ნიშნები. ამას ემატება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ხელმძღვანელი პირის, მათ შორის, გენერალური მდივნის, დაკავება და წინასწარი პატიმრობა.[14] მეტიც, 2012 წლის არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები განხორციელდა ადგილობრივ დონეზეც. საარჩევნო გარემოზე უარყოფითად იმოქმედა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებზე პოლიტიკური ზეწოლის შესახებ განცხადებებმა.

პარტიებისა და კანდიდატების საარჩევნო კამპანიები, ძირითადად, „კარდაკარ“ აქტივობებზეა ორიენტირებული, განსაკუთრებით, რეგიონებში. შედარებით ნაკლებად, მაგრამ ამომრჩეველთან ურთიერთობისთვის ასევე გამოიყენება ინტერაქტიული ვებ-გვერდები და სოციალური ქსელები. მრავლადაა ნინო ბურჯანაძისა და გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო ბილბორდები თბილისში, შედარებით იშვიათია ისინი საქართველოს სხვა რეგიონებში. შედარებით ნაკლებია დავით ბაქრაძის ბილბორდები. ამომრჩევლებთან შეხვედრების რაოდენობა სტაბილურად იზრდება სექტემბრის ბოლოდან მოყოლებული. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები აცხადებენ საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად გახსნის დღიდან მათ შეკრებებზე ზეწოლისა და დაშინების შემთხვევების შესახებ, რის შედეგადაც, სულ მცირე, 16 ადამიანია დაჯარიმებული.[15]

IX. კამპანიის დაფინანსება

პარტიული და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი სამართლებლივი ჩარჩო შეიცვალა 2013 წლის აგვისტოში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მოსაუბრე მხარეები ამ სამართლებრივ ჩარჩოს აფასებენ, როგორც „ყოვლისმომცველს“. მისი ბოლოდროინდელი ცვლილებები, რომელთა მიზანი იყო ყველაზე აშკარა და სერიოზული ხარვეზების გამოსწორება, მიღებული იქნა პარლამენტის მიერ კონსულტაციების შედეგად. ამ ცვლილებების მიხედვით, დაიშვება კორპორატიული შემოწირულობები, მცირდება საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესის

---

14 21 მაისს, ვანო მერაბიშვილი იქნა დაკავებული. მას ბრალი წაუყენეს 5.2 მილიონი ლარის (დაახლოებით 2,3 მილიონი ევრო, (2,2 ლარი = 1 ევრო)) ოდენობის სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაში პარტიის აქტივისტების შრომის ასანაზღაურებლად 2012 წლის საარჩევნო კამპანიის დროს. მას შემდეგ ვანო მერაბიშვილი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

15 20 ივლისს ზუგდიდში, 21 ივლისს ბათუმში და 27 ივლისს თბილისში, სულ მცირე, 17 ადამიანი დააკავეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისათვის სხვადასხვა საგნების სროლისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შიდაპარტიული არჩევნების (პრაიმერის) ჩაშლის მცდელობისთვის. მათ ბრალი წაუყენეს წვრილმან ხულიგნობაში და ყველა, გარდა ერთისა, დააჯარიმეს 100 ლარიანი ჯარიმით. ერთი პიროვნება ახალციხის სასამართლომ დამნაშავედ სცნო ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ბრალდებით. ზეწოლის კიდევ სამი შემთხვევის შესახებ შევიდა განაცხადი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორის კომისიაში.

დარღვევისთვის დაკისრებული სანქციები, მცირდება პარტიების მიერ სახელმწიფო დაფინანსების მიღებისთვის გადასალახი სავალდებულო საარჩევნო ზღვარი და ანაზღაურდება იმ საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო კამპანიის ხარჯები, რომლებიც არჩევნების პირველ ტურში 10%–იან ზღვარს გადალახავენ.

კამპანიის დაფინანსების მეთვალყურეობა 2011 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ავალია. 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება შეიზღუდა. სანქციების დაკისრება კამპანიის ჩატარების წესების დარღვევისათვის და შემოწირული სახსრებისა და ქონების წარმოშობის შესახებ ცნობების გამოთხოვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მხოლოდ სასამართლოს გადაწვეტილების საფუძველზე შეუძლია.[16] პარტიები და საინიციატივო ჯგუფები ვალდებულნი არიან, მათი საარჩევნო რეგისტრაციის თარიღიდან მოყოლებული, ყოველ სამ კვირაში ერთხელ წარადგინონ ფინანსური ანგარიში და შემოწირულობის მიღებიდან არაუგვიანეს ხუთი დღის ვადაში ჩააბარონ თითოეული შემოწირულობის შესახებ ანგარიში. დღესდღეობით, პარტიების მიერ წამოყენებული კანდიდატებიდან ორმა და დამოუკიდებელი კანდიდატებიდან შვიდმა ვერ შეძლო ანგარიშგების მოთხოვნების შესრულება.[17]

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეატყობინა ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას, რომ ამჟამად მიმდინარეობს ნინო ბურჯანაძის („დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“) ფინანსური დეკლარაციის შემოწმება და იგეგმება თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი მიმართვა. იმ ადამიანებისა თუ ორგანიზაციების დიდი ნაწილი, რომლებთანაც უწევს ურთიერთობა ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას, შეშფოთებულია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ განხორციელებული სუსტი კონტროლით.

კანდიდატის მიერ გაწეული ჯამური ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მშპ-ს 0.1 პროცენტს. პარტიას უფლება აქვს, მიიღოს მაქსიმუმ 60,000 ლარის მოცულობის შემოწირულობა კერძო პირისაგან და 120,000 ლარის მოცულობის შემოწირულობა იურიდიული პირისაგან წლიურად. 1 ივლისიდან 22 სექტემბრამდე, ყველა საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ გაღებული დეკლარირებული შემოწირულობების ჯამმა 2,175,308 ლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ კორპორატიული შემოწირულობის აკრძალვა გაუქმდა, იურიდიული პირისაგან

[16] ორ შემთხვევაში დაკისრებული იყო 2,000 ლარის მოცულობის ჯარიმა, რადგან საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანის შესახებ არ ეცნობა აუდიტის სახელმწიფო სამსახურს.

[17] ჯარიმები არ დაკისრებულა. ორ შემთხვევაში, აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. ერთი მიმართვა თავად აუდიტის სამსახურმა გააუქმა, მეორე მიმართვა სასამართლომ არ მიიღო. დარჩენილ შვიდ შემთხვევაში აუდიტის სამსახურს არანაირი ქმედება არ განუხორციელებია.

შემოწირულობა არცერთ კანდიდატს არ მიუღია. დაახლოებით 142 დონორმა შეიტანა 1,741,360 ლარი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ და 122 დონორმა გადასცა 430,903 ლარი „დემოკრატიულ მოძრაობა – ერთიან საქართველოს“. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებით, მოცემულ პერიოდში მას შემოწირულობები არ მიუღია.

X. მედია

მედიასივრცე ნაკლებად პოლარიზებულადაა მიჩნეული, ვიდრე ეს 2012 წლის არჩევნების დროს იყო. მიიჩნევა, რომ ჟურნალისტები უფრო ყოვლისმომცველად აშუქებენ ძირითად პოლიტიკურ მოვლენებს, თუმცა, კვლავაც აღინიშნება კრიტიკული ანალიზისა და ანალიტიკური რეპორტაჟების ნაკლებობა. ნაციონალური ტელევიზიები ამომრჩევლის უდიდესი ნაწილისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროდ რჩება. ბეჭდური მედია მოსაზრებათა უფრო ფართო სპექტრს გვთავაზობს, თუმცა მისი გავლენა ნაკლებია, ხდება ბეჭდურის ონლაინ–მედიით თანდათანობით ჩანაცვლება. უკანასკნელი წლის განმავლობაში, მედიასივრცემ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა – შეიცვალა პოპულარობით რიგით მეორე ტელეკომპანია, იმედის, მფლობელი, დაიხურა ტელეკომპანიები: *TV PIK*, *საქართველო*, *TV9* და *Real TV*.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, უფასო საეთერო დრო საზოგადოებრივ და კერძო ტელეარხებზე გამოიყოფა იმ კვალიფიციური კანდიდატების სასარგებლოდ, რომლებიც წარადგინებს პოლიტიკურმა პარტიებმა, რომელთაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 4%, ან ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში - ამომრჩეველთა ხმების 3%[18]. ამ კვალიფიციურ კანდიდატებს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, უფლება აქვთ ისარგებლონ საათში 60 წამით. 8 ოქტომბერს, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების საფუძველზე,[19] საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაწყვიტა, უფასო საეთერო დრო დაეთმო ნინო ბურჯანაძისათვის. კვალიფიციურ კანდიდატებს, აგრეთვე, უფლება აქვთ გამოიყენონ 90 წამი ყოველ სამ საათში ყველა კერძო ტელეარხზე, რომელიც აშუქებს ახალ ამბებს ან აქვს პოლიტიკური შინაარსის პროგრამები. ყველა კანდიდატის სარეკლამო რგოლი უკვე გადაიცემა ნაციონალური ტელეარხების ეთერით, თუმცა, ყველა მათგანი გამოყოფილი დროით მთლიანად არ სარგებლობს. საარჩევნო კოდექსი აგრეთვე ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს გამოყოს დრო იმ კანდიდატებისთვისაც, რომელთაც უფასო საეთერო დრო არ ეკუთვნით. 26 სექტემბერს, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაწყვიტა უფასო საეთერო დრო - დღეში 15 წამი

[18] ესენი არიან: გიორგი მარგველაშვილი (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო), დავით ბაქრაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), კობა დავითაშვილი (სახალხო პარტია), სერგო ჯავახიძე (მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის), გიორგი თარგამაძე (ქრისტიანულ–დემოკრატიული მოძრაობა), ზურაბ ხარატიშვილი (ევროპელი დემოკრატები), და თეიმურაზ მჟავია (ქრისტიანულ–დემოკრატიული სახალხო პარტია).

[19] საარჩევნო კოდექსის 51(8) მუხლის თანახმად, პოლიტიკურ პარტიას, რომელიც არჩევნების დღემდე მინიმუმ ერთ თვით ადრე ჩატარებულ გამოკითხვაში ამომრჩეველთა ხმების 4%–ზე მეტს მიიღებს, შესაძლებელია გამოეყოს უფასო საეთერო დრო.

დაეთმო ყველა არაკვალიფიციური კანდიდატისთვის. ეს დრო საუკეთესო საეთერო დროის (პრაიმ–ტაიმის) მონაკვეთის მიღმა ხვდება.[20] გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცემა ორი დებატი კვალიფიციურ კანდიდატებს შორის, რომლებიც უფლებამოსილები არიან ისარგებლონ უფასო საეთერო დროით.

გარდა უფასო საეთერო დროისა, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ ეკუთვნით სახელმწიფო დაფინანსება კერძო ტელეარხებზე რეკლამის განსათავსებლად: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 600,000 ლარი და „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ 100,000 ლარი. [21]

საარჩევნო კოდექსი ყველა კანდიდატს ანიჭებს უფლებას, შეიძინოს საეთერო დრო საარჩევნო კამპანიის ფარგლებში რეკლამირების მიზნით. ტელეარხებს ევალებათ, საერთო საეთერო დროის 15% გამოყონ პოლიტიკური რეკლამისთვის, და თითოეულ კანდიდატს უფლება აქვს შეიძინოს ამ გამოყოფილი დროის არაუმეტეს ერთი მესამედისა. ამ დროისათვის, მხოლოდ ნინო ბურჯანაძემ და დავით ბაქრაძემ შეიძინეს ფასიანი საეთერო დრო ნაციონალურ მედიაში.

2013 წლის ივლისში „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევის უფლებამოსილება 2014 წლის 1 იანვრიდან პრეზიდენტიდან სახალხო დამცველის ხელში გადადის. საბჭოში ახალი წევრების დანიშვნა ამ ვადამდე დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი წევრის უფლებამოსილები ვადა 1 სექტემბერს ამოიწურა, კიდევ ორი წევრი კი 1 სექტემბრის შემდეგ მალევე გადადგა, რამაც საბჭო კვორუმის გარეშე დატოვა.[22] გარდა ამისა, რამდენიმე ცნობილი ჟურნალისტი დაითხოვეს საზოგადოებრივი მაუწყებლიდან და დაიხურა რამდენიმე პოპულარული თოქ–შოუ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არის მედიის ძირითადი მარეგულირებელი ორგანო, რომელსაც სამაუწყებლო მედიის ლიცენზირებისა და მისი საქმიანობის მეთვალყურეობის ვალდებულება აკისრია. 7 სექტემბრიდან, კომისიის მიერ ხორციელდება 38 ტელეარხისა და დაახლოებით 20 გაზეთის მონიტორინგი, რომლის პირველი ანგარიში ჯერ არ გამოქვეყნებულა.

---

[20] საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აგრეთვე გადაწყვიტა გამოეყო 45 წუთიანი დრო თითოეული კანდიდატისათვის თოქ–შოუს ფორმატის გადაცემაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხზე (საპარლამენტო არხი).

[21] „საქართველოს კანონის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ თანახმად, დამატებითი დაფინანსება სატელევიზიო რეკლამისათვის გამოიყოფა იმ პარტიების სასარგებლოდ, რომლებიც უფლებამოსილები არიან, მიიღონ ზოგადი სახელმწიფო დაფინანსება და წამოაყენეს საპრეზიდენტო კანდიდატი. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო ორად–ორი პარტიაა, რომელიც შეესაბამება ამ მოთხოვნას.

[22] საბჭოს რამდენიმე წევრმა იჩივლა, რომ ქართული ოცნების მხრიდან ხორციელდებოდა ზეწოლა მათი გადადგომის მოთხოვნით.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში პრემიერ–მინისტრმა, რომელიც, ამავდროულად, ქართული ოცნების საპატიო თავმჯდომარეა, ორი სამსაათიანი შეხვედრა გამართა პოლიტიკურ ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან, მთავრობის საქმიანობის გაშუქებასთან და ზოგადად, მედიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. შეხვედრები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ყველა წამყვანი ნაციონალური ტელეარხის მიერ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ 23 სექტემბერს დაიწყო მედია–მონიტორინგის განხორციელება, რომელიც გულისხმობს 6 სატელევიზიო არხის მიერ პრაიმტაიმში კამპანიის გაშუქების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს.[23]

XI. საჩივრები და განცხადებები

საარჩევნო კოდექსი აწესებს დავების გადაწყვეტის სწრაფ პროცესს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების და აპელაციის შემთხვევებისათვის – საჩივრებისა და აპელაციების განსახილველად ვადა განისაზღვრება ერთიდან სამ კალენდარულ დღემდე. არჩევნების მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია შეიტანოს საჩივარი. ამასთანავე, საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ ადმინისტრაციული ოქმი დარღვევების შესახებ შეიტანონ საქალაქო თუ საოლქო სასამართლოში ადმინისტრაციული სანქციის დაკისრების მოთხოვნით. დარღვევის არსიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს სამი დღიდან თხუთმეტ დღემდე ვადაში. აპელაციები გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში და მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

დღესდღეობით, ცესკოში ოცამდე საჩივარი შევიდა. საჩივრები ეხება საჯარო მოხელეთა მიერ კამპანიის ჩატარებას, რაც მათ კანონით ეკრძალებათ, ამომრჩეველთა მოსყიდვას და კამპანიის ჩატარებას საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ . საჩივართა უმრავლესობა არ დაკმაყოფილდა. გარდა ამისა, საპრეზიდენტო კანდიდატობის 24 მსურველიდან, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე, ცხრამ შეიტანა საჩივარი. აქედან, ოთხი საჩივარი იმ პირთა მიერ იყო წარდგენილი, ვისაც კანდიდატად რეგისტრაციაზე ორმაგი მოქალაქეობის საფუძველზე ეთქვა უარი, რაც პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებისათვის სამართლებლივ დაბრკოლებას წარმოადგენს.[24] ცესკომ, პირველი ინსტანციის სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილეს ეს საჩივრები.

---

[23] მონიტორინგი ხორციელდება საღამოს 18:00-დან 24 საათამდე. მიმდინარეობს შემდეგი მედია-საშუალებების მონიტორინგი: საზოგადოებრივი მაუწყებელი - 1; აჭარა; რუსთავი 2; იმედი; მაესტრო და კავკასია.

[24] კონსტიტუციის 29[1] მუხლის თანახმად. ორმაგი მოქალაქეობის მქონე კანდიდატებს შორის არიან სალომე ზურაბიშვილი, ტარიელ ხვედელიძე, მერაბ სულიაშვილი და ზურაბ წიწუაშვილი.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელთ არსებული ცნობებით, რვა საოლქო საარჩევნო კომისიაში 30–დე საჩივარი შევიდა, ძირითადად, საუბნო საარჩევნო კომისიებში წამყვანი თანამდებობებზე დანიშვნის პროცესთან დაკავშირებით.[25] აქედან, დაახლოებით შვიდი დაკმაყოფილდა, დანარჩენი კი არა. საოლქო კომისიებისა და ცესკოს გადაწყვეტილებათა მხოლოდ მცირე ნაწილი გასაჩივრდა სასამართლოში და არცერთი არ გაუქმებულა.

მოცემული არჩევნებისთვის აღდგა უწყებათაშორისი კომისია სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის (IAC). ეს არასასამართლო ორგანო შედგება მინისტრების მოადგილეებისგან, რომელსაც ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი.[26] მიუხედავად იმისა, რომ უწყებათაშორისი კომისიის მანდატი გულისხმობს „საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის საჯარო მოხელეთა მიერ დარღვევების თავიდან აცილებასა და დარღვევის შემთხვევებზე რეაგირებას“, კომისია საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს მიღმა არსებულ საკითხებსაც განიხილავდა. [27]

უწყებათაშორის კომისიაში განსახილველად სამოცამდე შემთხვევა იქნა წარდგენილი, აქედან 12 შემთხვევაში კომისიამ შეიმუშავა შესასრულებლად არასავალდებულო რეკომენდაციები სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიმართ. ერთ-ერთი რეკომენდაციით ურჩევს სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებს გამოსცენ განმარტებითი ბარათები რომლებშიც აღწერილი იქნება საარჩევნო პერდიოში საჯარო მოხელეებისთვის დასაშვები ქმედებები, აგრეთვე რეკომენდაცია, თავი შეიკავონ თანამშრომელთა გათავისუფლებისგან.[28] დამატებით, უწყებათაშორისმა კომისიამ მოთხოვა კანდიდატებსა და პარტიებს მათი აქტივისტების სიების წარმოდგენა, რათა პროკურატურასა და პოლიციას თავი შეეკავებინა მათი დაკითხვისაგან საარჩევნო პერიოდში.

XII. ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა

კონსტიტუცია ეროვნულ უმცირესობებს სრულ პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებს. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 16.2 პროცენტს

---

25 ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ რუსთავის #20 საოლქო საარჩევნო კომისიაში 22 საჩივარი შეიტანა წამყვანი თანამდებობის პირების დანიშვნასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებზე.

26 კანონით არ არის გაწერილი კომისიის მუშაობის ვადები და პროცედურები. კომისიას არ აქვს უფლება გადაწყვეტილება გამოიტანოს ცალკეული დავების მიხედვით, ასევე, არ შეუძლია სანქციების დაკისრება. ის არ არის ვალდებული განიხილოს თითოეული შემთხვევა ან გასცეს წერილობითი პასუხი, თუმცა აქვეყნებდა სხდომების ოქმებს საკუთარი ვებ–გვერდის მეშვეობით.

27 მაგალითად, კომისიამ იმსჯელა სალომე ზურაბიშვილისთვის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმის საკითხზე.

28 უწყებათაშორისი კომისიამ რეკომენდაციები გამოსცა საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სამინისტროების და სხვა სახელმწიფო ორგანოების, ცესკოს, პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტების, სასამართლოების და პროკურატურის მისამართით.

შეადგენს, მათ შორის ყველაზე დიდი ჯგუფებია აზერბაიჯანელები (6.5 პროცენტი) და სომხები (5.7 პროცენტი), რომლებიც სასაზღვრო რეგიონებშია მჭიდროდ დასახლებული. საქართველომ მოახდინა ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება.

მიმდინარე არჩევნებისთვის, ცესკომ ჩამოაყალიბა სპეციალური სამუშაო ჯგუფი ეროვნული უმცირესობების საკითხებზე, მოაწყო რამდენიმე შეხვედრა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან და უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში რამდენიმე გასვლა. სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდასაჭერად და საარჩევნო პროცესებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გასაზრდელად ცესკომ გრანტები გამოყო. ასევე, უმცირესობათა საკითხზე მომუშავე და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, უმცირესობათა ენებზე ჩაატარა ტრენინგები, საინფორმაციო კამპანიები და საგანმანათლებლო პროექტები უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. სახელმწიფო ენის გარდა, ცესკომ საარჩევნო დოკუმენტაცია მომზადდა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ცესკოს ვებ–გვერდზე, მოიპოვება ინფორმაცია აფხაზურადაც. საარჩევნო პერიოდში, ცესკოში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი უმცირესობათა ენებზე.

XIII. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსით დაშვებულია ადგილობრივი და საერთაშორისო დაკვირვება და აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს. 10 ოქტომბრის მონაცემებით, აკრედიტაცია მიიღო 47 ქართულმა და 40 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციამ. ზოგიერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის განაცხადი, თავდაპირველად არ დაკმაყოფილდა, მაგრამ მათ, ვინც ხელახლა შეიტანა მოთხოვნების შესაბამისი განაცხადი, საბოლოოდ, დარეგისტრირდა. პარტიები, საინიციატივო ჯგუფები და კანდიდატები უფლებამოსილნი არიან დაასახელონ ორ–ორი წარმომადგენელი თითოეულ საარჩევნო კომისიისაში და თავადაც აქვთ დამკვირვებლის ტოლფასი უფლებები. თუმცა, კომისიის შეხვედრებს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი შეიძლება ესწრებოდეს. ასევე, არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე დაიშვება მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. რამდენიმე ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ უკვე დაიწყო საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტის გრძელვადიანი დაკვირვება. მათ შორისაა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო.

XIV. მისიის საქმიანობა

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ მუშაობა 19 სექტემბერს დაიწყო. მისიის ხელმძღვანელი შეხვდა ცესკოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, იუსტიციის მინისტრს, რომელიც, ამავდროულად, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეა და სხვა მაღალი

თანამდებობის პირებს. გარდა ამისა, საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას ურთიერთობა აქვს პოლიტიკულ პარტიებთან და კანდიდატებთან, მედიის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სხვა საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი შეხვდა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA) წინასაარჩევნო დელეგაციას. ჟოაო სოარესი დაინიშნა ეუთოს მოქმედი თავჯდომარის მიერ სპეციალურ კოორდინატორად, რათა უხელმძღვანელოს ეუთოს მოკლევადიან სადამკვირვებლო მისიას.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) წინასაარჩევნო დელეგაციისთვის, რომელსაც მერიშელ მატეო პი ხელმძღვანელობს, და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისათვის. არჩევნების დღის დაკვირვება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის პარლამენტის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციათა ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდება.

ამ დოკუმენტის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.
არაოფიციალური ქართული თარგმანი ასევე ხელმისაწვდომია.